



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 293

ქალაქი ქუთაისი 5 აგვისტო 2016 წელი

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში /სარგებლობაში/ არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 ნოემბრის N84 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში /სარგებლობაში/ არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში /სარგებლობაში/ არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 ნოემბრის N84 განკარგულება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლის 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი